საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
იურიდიული დახმარების
სამსახური

ძვირფასო მკითხველო!

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური თავისი საქმიანობის ერთი წლის ანგარიშს გაბარებთ. 2007 წელი ჩვენთვის რვა ახალი იურიდიული ბიუროს ჩამოყალიბებით დასრულდა. სამსახურის საქმიანობის სფერო დედაქალაქისა და ზესტაფონის რაიონის ფარგლებს გასცდა და საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მოიცვა. ამის შემდგომ იურიდიული დახმარების ახალგაზრდა ქართული სისტემის ამოცანად იმ მექანიზმების შექმნა-დანერგვა იქცა, რომლებიც მოქალაქეთა ნდობას მოაპოვებინებდა, მის მიერ გაწეული სამართლებრივი მომსახურების მაღალ ხარისხსა და ეფექტურობას უზრუნველყოფდა.

სწორედ ამიტომ, ეს წელი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის. მრავალი ახალი საინტერესო პროექტი განხორციელდა და სიახლე დაინერგა. ჩვენ ვზრუნავდით როგორც ადამიანური რესურსის გაძლიერებაზე, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ასევე ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სამსახურში ადეკვატური სამუშაო პირობების შექმნაზე. ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ კეთდებოდა, რომ იურიდიული დახმარების ბიუროებსა თუ საკონსულტაციო ცენტრებში დახმარებისათვის მოსულ შეჭირვებულ ადამიანებს ჰქონოდათ საშუალება, სხვადასხვა სახის დაბრკოლებების გარეშე მიეღოთ რეალური, კვალიფიციური და ხარისხიანი სამართლებრივი მომსახურება სახელმწიფოს ხარჯზე. დღეს ჩვენ სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი გვანდობს თავის პრობლემას, რაც იურიდიული დახმარების სამსახურის თითოეული თანამშრომლის დამსახურებაა.

აქვე უნდა აღინიშნოს ჩვენი მეგობრებისა და გულშემატკივარი ოგანიზაციების შესახებ. რომ არა მათი მხარდაჭერა, სამსახურის საკმაოდ ბევრი წამოწყება განუხორციელებელი დარჩებოდა.

ბევრი რამ გაკეთდა, თუმცა ბევრი რამ ჯერ კიდევ გასაკეთებელია. იურიდიული დახმარების სამსახურში რეფორმები გრძელდება . . .

პატივისცემით,

რუსუდან ტაბატაძე
იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი

სარჩევი

ასე იწყებოდა ყველაფერი 1

ჩვენი ოფისები 3

ჩვენი თანამშრომლები 5

სტატისტიკა 7

ტრენინგები 9

ჩვენ ვზრდით მომავალ კვალიფიციურ კადრებს 11

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი 13

პროფესიული სტანდარტები და ორგანიზაციული კულტურა 15

ინფორმაციული ტექნოლოგიების ფეხდაფეხ 18

საზოგადოებასთან ურთიერთობები 20

ფინანსური ანგარიში 24

პარტნიორები 25

მემორანდუმის გაფორმება

მაია კოპალეიშვილი
იუსტიციის სამინისტრო

იურიდიული დახმარების სამსახურის შექმნის მიზანი იყო გადახდისუუნარო მოქალაქეებისთვის უფასო იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა. ეს სამსახური ჩვენი სახელმწიფოს დემოკრატიული მონაპოვარია.

ასე იწყებოდა ყველაფერი

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ 2004 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა იურიდიული დახმარების სისტემის ჩამოყალიბების კონცეფცია შეიმუშავა. საქართველოს სახელმწიფომ ახლებურად შეაფასა კონსტიტუციის 42-ე მუხლი, რომელიც დაცვის უფლების გარანტირებაზე საუბრობს და საკმაოდ დისკრედიტებული იურიდიული დახმარების ე.წ. სახაზინო ადვოკატის სისტემის რეფორმა დაიწყო. რეფორმის დეტალები საქართველოში ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიის EUJUST THEMIS-ის მხარდაჭერით შემუშავებულ სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიაშიც აისახა. სტრატეგიას 2005 წლის 9 ივლისს პრეზიდენტის განკარგულებით დამტკიცების შემდეგ ოფიციალური ძალა მიეცა. იმავე წელს პილოტური საზოგადოებრივი ადვოკატ ის სამსახურიც ამოქმედდა.

2005 წლის 17 თებერვალს იუსტიციის მინისტრის ბრძანების საფუძველზე საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახური შეიქმნა. პილოტური პროექტის ფარგლებში გაიხსნა ორი ტერიტორიული ბიურო თბილისში გლდანი-ნაძალადევის რაიონსა და ზესტაფონში. ამ ოფისებში დასაქმებული ადვოკატები ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის დაცვას ახორციელებდნენ სისხლის სამართლის პროცესის ამა თუ იმ სტადიაზე. სხვადასხვა არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციათა და სახელმწიფო ორგანოთა

წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებული ჯგუფი პარალელურად იურიდიული დახმარების შესახებ კანონის პროექტზე მუშაობდა. იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმის პროცესში თავიდანვე აქტიურად იყვნენ ჩართული "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", ფონდი "ღია საზოგადოება – საქართველო" და "IRIS – საქართველო".

2007 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა იურიდიული დახმარების შესახებ კანონი მიიღო, რაც რეფორმის ახალი ფაზის დასაწყისად იქცა. კანონის საფუძველზე და საპილოტე საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურისა და მისი ორი ბიუროს ბაზაზე იურიდიული დახმარების სამსახური, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით, იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში 2007 წლის ივლისში შეიქმნა. სამსახური სახელმწიფოს ხარჯზე არსებული იურიდიული დახმარების სისტემის მაკოორდინირებელი ორგანოა, რომლის დანიშნულებასაც ეფექტური სამართლებრივი მომსახურების გაწევის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე იცავენ ყველა ბრალდებულის, განსასჯელისა და მსჯავრებულის ინტერესებს, როგორც წინასწარი გამოძიების, ისე საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე. გარდა ამისა, ყველა მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს მიმართოს ბიუროებში არსებულ საკონსულტაციო ცენტრებს და მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე კვალიფიციური იურიდიული კონსულტაცია მიიღოს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო"

IRIS საქართველო

ჩვენი ოფისები

კონსულტაცია ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრში

რას სთავაზობს მომხმარებელს იურიდიული დახმარების ბიურო?

იურიდიული დახმარების ბიურო წარმოადგენს სამსახურის ფარგლებში შექმნილ ოფისს, რომელიც დადგენილი სამოქმედო ტერიტორიის მასშტაბით მოქალაქეებს იურიდიულ დახმარებს უწევს. ეს მოიცავს:

- უფასო იურიდიულ კონსულტაციას ყველა სამართლებრივ თემაზე;
- სამართლებრივი დოკუმენტაციის (განცხადება, შუამდგომლობა) შედგენას სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით;
- ადვოკატის მომსახურებას სისხლის სამართლის პროცესში ეჭვმიტანილის, ბრალდებულის განსასჯელისა თუ მსჯავრდებულისათვის;

ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრის გახსნა

რას სთავაზობს მომხმარებელს საკონსულტაციო ცენტრი?

იურიდიული დახმარების საკონსულტაციო ცენტრი წარმოადგენს სამსახურის ფარგლებში შექმნილ ოფისს, რომელიც დადგენილი სამოქმედო ტერიტორიის მასშტაბით მოქალაქეებს იურიდიულ დახმრებას უწევს. ამ შემთხვევაში სამართლებრივი მომსახურება შემოიფარგლება მხოლოდ უფასო კონსულტაციითა და სამართლებრივი დოკუმენტების შედგენაში მოქალაქეებისათვის დახმარების გაწევით.

ჩვენ უკვე თითქმის მთელ საქართველოს ვფარავთ ...

2007 წლის მიწურულსა და 2008 წლის დასაწყისში იურიდიული დახმარების სამსახური აქტიურად აფართოებს თავის სამოქმედო არეალს და უკვე 2008 წლის ბოლოსათვის იურიდიული დახმარების ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით მოქმედებენ.

დღესდღეობით, სისხლის სამართლის საქმეზე უფასო იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომია თბილისში, იმერეთში (ზესტაფონისა და ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროები); სამეგრელოში (ფოთისა და ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროები), აჭარაში (ბათუმის იურიდიული დახმარების ბიურო), ქვემო ქართლში (რუსთავის იურიდიული დახმარების ბიურო), შიდა ქართლში (გორის იურიდიული დახმარების ბიურო), მცხეთა მთიანეთსა და კახეთის რაიონებში (თელავის იურიდიული დახმარების ბიურო). საკონსულტაციო ცენტრები კი ოზურგეთსა და ამბროლაურში მოქმედებს.



სატელეფონო კონსულტაცია
თბილისის ბიუროში

თამარ ქალდანი
ფონდი
"ღია საზოგადოება - საქართველო"

იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ რეფორმად შეიძლება ჩაითვალოს, რაც სისხლისსამართლებრივ სფეროში განხორციელებულა. ის სისტემა, რომელიც საქართველოში შეიქმნა აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულად შეიძლება შეფასდეს.
ჩვენთვის დიდი პატივი იყო ამ სისტემის შექმნაში მონაწილეობა.

ფოთის იურიდიული
დახმარების ბიურო

კახეთის იურიდიული
დახმარების ბიურო

ვარდო ველიჯანაშვილი

ძარცვაში ბრალდებულ ბაჩუკი მ.-ს ოთხიდან რვა წლამდე პატიმრობა ემუქრებოდა. მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის ვარდო ველიჯანაშვილის დახმარებით მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

მომავალი წლის განმავლობაში, ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატის ოფისის დახმარებით იმ რეგიონთა სიას სადაც იურიდიული დახმარების ბიუროები უზრუნველყოფენ სამართლებრივ დახმარებას მოქალაქეთათვის სამცხე-ჯავახეთიც შეემატება, გარდა ბიუროს ჩამოყალიბებისა ახალციხეში, ეუთოს დახმარება სამსახურს საშუალებას მისცემს ახალქალაქიც მოიცვას და ამ ადმინისტრაციულ ცენტრში საკონსულტაციო ცენტრის ჩამოყალიბებით უფრო ეფექტური გახადოს იურიდიული დახმარების სახელმწიფო სისტემა აქ მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის.

ჩვენი თანამშრომლები

2005 წლის დასაწყისში, სამსახურის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე იურიდიული დახმარების სამსახური 14 კაცისაგან შედგებოდა. 2008 წლის ბოლოსათვის კი იურიდიული დახმარების სამსახურში ცენტრალური აპარატის ჩათვლით, უკვე 150 ადამიანია დასაქმებული. მათ შორის: 85 ადვოკატი, 23 კონსულტანტ-სპეციალისტი. ჩვენთვის ხალხის ნდობა და კვალიფიციური კადრები უმნიშვნელოვანესია, ამიტომ იურიდიული დახმარების სამსახურში თანამშრომლთა შერჩევა კონკურსის წესით ხდება.

აჭარის იურიდიული
დახმარების ბიურო

ადვოკატების შერჩევის დროს საკონკურსო კომისიის მუშაობაში როგორც წესი მონაწილეობასიღებენ მოქმედი დამოუკიდებელი ადვოკატები, მოსამართლეები, შესაბამის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ კადრების შერჩევის დროს ობიექტურობა დაცული იყოს.

ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო

იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლები



იოსებ გაბარაევი

შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის იოსებ გაბარაევის დახმარებით ყაჩაღობის მომზადებაში ბრალდებული მიხეილ ლ. ნაწილობრივ გამართლდა და მას 18 წლიანი მოსალოდნელი სასჯელი სამჯერ შეუმცირდა.

გოჩა სვანიძე
ადვოკატთა ასოციაცია

სოციალურად დაუცველი ფენა უზრუნველყოფილია კვალიფიციური სამართლებრივი დახმარებით. ამ კუთხით სახელმწიფოსგან გარანტიების გაცემა უკვე შესაძლებელია.

სტატისტიკა

იურიდიული დახმარების ბიუროების მიერ 2008 წლის ნოემბრის განმავლობაში მიღებული საქმეები



იურიდიული დახმარებიის ბიუროების მიერ იანვარი-ნოემბრის განმავლობაში წარმოებაში მიღებულ საქმეთა საერთო რაოდენობა 10589



მოქალაქეთა მომართვები ადვოკატის დანიშვნის შესახებ



გაწეული კონსულტაციები



ბექარ როგავა

სამეგრელოს ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის ბექარ როგავას დახმარებით განსასჯელი ომარ ბ. ხუთწლიანი პირობითი სასჯელის სანაცვლოდ სასამართლო სხდომის დარბაზიდან ყოველგვარი თანხის გადახდის გარეშე გათავისუფლდა.

გია ფარადაშვილი

კახეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის გია ფარადაშვილის დახმარებით ხულიგნობაში ბრალდებული ემზარ თ-ს მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა და იგი წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლდა.

ტრენინგები ... ტრენინგები ..... ტრენინგები .....

იურიდიული დახმარების სამსახური თავის ერთ-ერთ მთავარ ღირებულებად პროფესიონალ კადრებს მიიჩნევს. 2008 წლის დასაწყისში სამსახურმა გამოავლინა ცოდნის გაღრმავების თვალსაზრისით თანამშრომლებისათვის ყველაზე საინტერესო სფეროები, რის შემდეგადაც სამსახური შეეცადა პარტნიორი ორგანიზაციების დაინტერესებას შესაბამისი ტრენინგების ორგანიზების საკითხით.

ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA) მხარდაჭერით ჩაუტარდა სამსახურის ყველა ადვოკატს საბაზისო კურსი ადვოკატის უნარ-ჩვევებში, რომელიც ძირითადად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე საქმის წარმოების თავისებურებებს შეეხებოდა. ადვოკატთა ნაწილს შესაძლებლობა ჰქონდა ადვოკატის უნარ-ჩვევების გაძლიერებული კურსი გაევლო, ხოლო ზოგიერთი მათგანი შერჩეულ იქნა ტრენერთა ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად.

ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიამ საქართველოში (NORLAG) სამსახურის ყველა ადვოკატს ჩაუტარა სემინარი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის საკითხებსა და უწყვეტი არსებითი განხილვის მნიშვნელობის შესახებ.

2008 წლის აპრილში ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოს" ორგანიზებით იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის თანამშრომლებმა და იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსებმა გაიარეს ტრენინგი ეფექტური კომუნიკაციის საკითხზე. მოგვიანებთ ამავე თემაზე სწავლება ჩაუტარდათ სამსახურის კონსულტანტებსა და სპეციალისტებს.

აღსანიშნავია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრის როლი იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში. მისი ორგანიზებითა და დონორების (GTZ, IRZ) დახმარებით იურიდიული დახმარების ბიუროების კონსულტანტებსა და სპეციალისტებს მაისის თვეში ჩაუტარდათ ტრენინგი სოციალური დახმარებების, საპენსიო სამართლისა და უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2008 წლის შემოდგომის განმავლობაში სასწავლო ცენტრის მხარდაჭერით სამსახურის ყველა ადვოკატს ჩაუტარდა ტრენინგი ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიერ შემოთავაზებულ სიახლეთა შესახებ, ხოლო იურიდიული დახმარების ბიუროების უფროსებმა და აპარატის თანამშრომლებმა ადმინისტრაციული მენეჯმენტის საკითხებზე გაიარეს სწავლება.

2008 წლის ნოემბერში გაეროს ბავშვთა ფონდის ორგანიზებით სამსახურის თანამშრომლებმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე ტრენერთა მოსამზადებელი კურსი გაიარეს.

ჩვენ ვზრდით მომავალ კვალიფიციურ კადრებს

ზაზა მეიშვილი
უზენაესი სასამართლო

იურიდიული დახმარების სამსახურის ჩამოყალიბება ძალიან მნიშვნელოვანი და დროული ნაბიჯი იყო.
ეს სამსახური ძალიან ბევრ ადამიანს მოემსახურა, ძალიან ბევრ პროცესზე ყოფილა წარმოდგენილი და საზოგადოებრივ ადვოკატებს საკმაოდ წარმატებულადაც დაუცავთ მათი კლიენტების ინტერესები.

თბილისის ბიურომ სტაჟიორების პირველი ჯგუფი გამოუშვა ....

იურიდიული დახმარების სამსახური ზრუნავს მომავალი მაღალკვალიფიციური კადრების ფორმირებაზე. 2008 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროში 6 თვის განმავლობაში, 20-მდე სტუდენტმა გაიარა სტაჟირება. მათ საშუალება ჰქონდათ შეესწავლათ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პრაქტიკული ასპექტები, განევითარებინათ ადვოკატის უნარ-ჩვევები და განემტკიცებინათ თეორიული ცოდნა სისხლის სამართლის სფეროში. კლინიკის პროგრამის პირველ ეტაპზე სტაჟიორები გაეცნენ კლიენტთან მუშაობის სპეციფიკას, სამართლებრივი დოკუმენტების შედგენის წესებს, ადვოკატის სასამართლოში გამოსვლისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს. II ეტაპზე სტაჟიორებს საშუალება მიეცათ ადვოკატებთან ერთად ემუშავათ რეალურ სისხლის სამართლის საქმეებზე. სტაჟიორთა მონაწილეობით პროგრამის ფარგლებში 2 იმიტირებული სასამართლო პროცესი მოეწყო.

სტაჟიორების იმიტირებული სასამართლო პროცესი

სტაჟიორებმა პროგრამის დასასრულს სერთიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები მიიღეს. ყველაზე წარმატებულ სტუდენტებს სამსახურმა ანაზღაურებადი სამსახური შესთავაზა ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროში. ხოლო კიდევ 4 სტაჟიორს სტაჟიორი-ადვოკატის სტატუსით თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში საქმიანობის საშუალება მიეცა.

იურიდიული კლინიკები

იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ კვალიფიციური კადრების მომზადებისაკენ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს სამსახურის მიერ მომზადებული იურიდიული კლინიკების პროექტი, რომელიც 2008 წლის ნოემბრიდან ფონდ OSJI-ს ფინანსური მხარდაჭერით ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ხორციელდება.

პროექტის ამოცანაა იურისტ სტუდენტთა პრაქტიკული ცოდნის ამაღლება. პროეტის თანახმად იურიდიული დახმარების სამსახურის ქუთაისისა და ბათუმის ბიუროების ბაზაზე იურიდიული კლინიკები შეიქმნა, სადაც ამ უნივერსიტეტების სისხლის სამართლის მაგისტრატურის სტუდენტები იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების ზედამხედველობის ქვეშ გაივლიან პრაქტიკას. პრაქტიკასთან ერთად სტუდენტებს სემინარები ჩაუტარდებათ კლიენტთან მუშაობისა და ადვოკატისათვის საჭირო უნარ-ჩვევებში, სამართლებრივი დოკუმენტების შედგენასთან და ადვოკატათვის საჭირო სხვა საკითხებთან დაკავშირებით. სწავლების პროცესი კლინიკაში როლური თამაშებისა და იმიტირებული პროცესების თანხლებით წარიმართება.

როზეტა ზარქუა

სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატმა როზეტა ზარქუას დახმარებით ქურდობაში ბრალდებულ ასლანბეგ ი.-ს პატიმრობის ნაცვლად პირობითი სასჯელი განესაზღვრა და იგი სასამართლო სხდომის დარბაზიდან გათავისუფლდა.

გრძელვადიან პერსპექტივაში სტუდენტები, რომლებიც ბიუროებში გაივლიან სტაჟირებას იურიდიული დახმარების სამსახურის მომავალ კადრებად მოიაზრებიან. წარმატებული სტუდენტები იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში ჩაირიცხებიან, სადაც მათ დამოუკიდებლად მოუწევთ საქმეების წარმოება და შესაბამის ანაზღაურებასაც მიიღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი

პროექტის განხილვა

უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის რეფორმა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. 2008 წლის ბოლოს იურიდიული დახმარების სამსახურმა საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის პროექტის პრეზენტაცია გამართა. პროექტი იუსტიციის სამინისტროს მხარდაჭერითა და სასამართლოს, პროკურატურის, ადვოკატთა ასოციაციის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან კონსულტაციის შედეგად მომზადდა.

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი სახელმწიფოს ხარჯზე უფასო სამართლებრივი მომსახურების გაწევის ერთ-ერთი მოდელია. იგი ადვოკატთა სიას წარმოადგენს, რომელშიც ადვოკატი ნებაყოფლობით დარეგისტრირდება. რეესტრს იურიდიული დახმარების სამსახური ადვოკატის განცხადების საფუძველზე ღია კონკურსის წესით აყალიბებს.

იურიდიული დახმარების ბიურო სისხლის სამართლის საქმეზე მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატს დანიშნავს იმ შემთხვევაში, როდესაც ბიუროს დახმარებისთვის დაპირისპირებული მხარეები მიმართავენ, ან როდესაც საქმე მრავალბრალდებულიანი ან მრავალგანსასჯელიანია და არსებობს დასაცავ პირთა შორის ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის რისკი. ასეთ დროს ბიუროს თანამშრომელი ადვოკატი ერთ მხარეს დაიცავს, ხოლო მეორე მხარეს დამცველად მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატი დაენიშნება.

ლევან ჯორბენაძე

მცხეთა-მთიანეთის იურიდიულ დახმარების ბიუროს კონსულტანტის ლევან ჯორბენაძის დახმარებით ახალგორში მცხოვრებ სამ მოქალაქეს სახელფასო დავალიანება აუნაზღაურდათ.

მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატის სისხლის სამართლის საქმეში ჩართვას პროცესის მწარმოებელი ორგანოს დადგენილების ან მოქალაქის მომართვის საფუძველზე უზრუნველყოფს იურიდიული დახმარების ბიურო, რომლის სამოქმედო ტერიტორიასაც მოიცავს რეგიონული რეესტრი. იმ რეგიონებში, სადაც იურიდიული დახმარების ბიურო არ ფუნქციონირებს, სისხლის სამართლის საქმეებზე მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნას ბიურო ახლომდებარე საკონულტაციო ცენტრის მეშვეობით მოახდენს.

რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა ანაზღაურების სისტემა მრავალმხრივი ანალიზის შედეგად ჩამოყალიბდა. დადგენილი პროცედურის თანახმად იურიდიული დახმარების სამსახური მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატს სისხლის სამართლის საქმეში ჩართვისათვის ერთჯერადად გადაუხდის ფიქსირებულ თანხას. გარდა ამისა, ანაზღაურდება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით განხორციელებული საპროცესო მოქმედებები იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ დადგენილი ნიხრების მიხედვით. ანაზღაურება გაიცემა მას შემდეგ, რაც მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატი მის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას საქმის წარმოების ან მისი ერთი ეტაპის დასრულების შემდეგ წარუდგენს იურიდიული დახმარების ბიუროს.

პროექტი კერძო ადვოკატებისათვის მიმზდველი იქნება არამხოლოდ დასაქმებისა და დამატებითი შემოსავლის მიღების თვალსაზრისით, არამედ გადახდისუუნარო მოქალაქისათვის მომსახურების გაწევის გზით სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების შესაძლებლობით.

პროექტის განხილვა

იოსებ ნატროშვილი

თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს იოსებ ნატროშვილის დახმარებით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში პოლიციის მუშაკისათვის ხელის შეშლაში ბრალდებული იური ღ-ს მიმართ სამართლებრივი დევნა შეწყდა და იგი პატიმრობიდან გათავისუფლდა.

მცხეთის იურიდიული დახმარების ბიურო

მერაბ ნადირაძე

თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადოკატის მერაბ ნადირაძის დახმარებით საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ წარმოება-შენახვასა და შემოტანა-გატანაში ბრალდებული მოქალაქე ხვიჩა წ ნაწილობრივ გამართლდა. მას მოეხსნა ბრალდება საქართველოში ნარკოტიკული საშუალების შემოტანა-გატანის შესახებ.

პროფესიული სტანდარტები და ორგანიზაციული კულტურა

2008 წელს ძალზე საინტერესოდ წარიმართა მუშაობა იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული სტანდარტებისა და ორგანიზაციული კულტურის დანეგვის მიმართულებით.

2008 წლის დასაწყიში მიღებულ იქნა სამსახურის შინაგანაწესი. პრაქტიკულად დასრულებულია მუშაობა საზოგადოებრივ ადვოკატთა საქმიანობის შეფასების სისტემაზე, ხოლო 2009 წლიდან ამოქმედდება თანამშრომელთა ქცევის კოდექსი, რომელიც, პროფესიული სტანდარტების ამაღლებასთან ერთად, ხელს შეუწყობს იურიდიული დახმარების სამსახურისადმი საზოგადოების ნდობისა განმტკიცებას.

შინაგანაწესი

იურიდიული დახმარების ბიუროებსა და საკონსულტაციო ცენტრებში საქმიანობის ერთიანი სტანდარტების, თანამშრომლთა სამუშაო და დასვენების დროის, წახალისებისა და პასუხისმგებლობის ზომების, საზოგადოებრივი ადვოკატისათვის ორდერის გამოწერის პროცედურის და სხვა ორგანიზაციული საკითხების რეგულირების მიზნით იურიდიული დახმარების სამსახურმა შინაგანაწესი შეიმუშავა.

დოკუმენტზე მუშაობა პრაქტიკულად რეგიონული ბიუროების ამოქმედებისთანავე დაიწყო და ამ პროცესში, სამსახურის ხელმძღვანელობასთან ერთად, ბიუროების უფროსები, ადვოკატები და დამოუკიდებელი ექსპერტები ჩაერთნენ.

შინაგანაწის საბოლოო ვარიანტი 2008 წლის თებერვალში იქნა დამტკიცებული. თუმცა, მისი სრულყოფის მიზნით დოკუმენტში ცვლილებების შეტანა დღესაც გრძელდება.

შეფასების სისტემა და ეთიკის კოდექსი

იურიდიული დახმარების სამსახურმა შეიმუშავა ადვოკატთა საქმიანობის შეფასების ახალი სისტემა, რომლის მიზანია თანამშრომელთა სამსახურებრივი დაწინაურების, სხვა სამუშაოზე გადაყვანის, წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის, პრემირებისა და სწავლების საკითხების რეგულირება.

შეფასების სისტემაზე მონიტორინგისა და ანალიზის განყოფილების იურისტები და ადამიანური რესურსების მენეჯერი ერთობლივად მუშაობდნენ. პროექტმა საბოლოო სახე მოწვეულ ექსპერტთან, იურიდიული დახმარების ბიუროების უფროსებსა და საზოგადოებრივ ადვოკატებთან წარმოებული კონსულტაციების შედეგად მიიღო.

სისტემა ხუთ სხვადასხვა კრიტერიუმს ეყრდნობა და ადვოკატთა საქმიანობის შეფასებას სხვადასხვა ეტაპზე განხორციელებული მოქმედებების, სასამართლო პროცესზე მიღწეული წარმატებული შედეგის, პროფესიული უნარ-ჩვევების, პიროვნული და საქმიანი მახასიათებლების, აგრეთვე დასაცავი პირის მიერ ადვოკატის მომსახურების შეფასების მიხედვით გულისხმობს.

ადვოკატთა საქმიანობის შეფასების ახალი სისტემის ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის მიზნით ადვოკატის საქმიანობა შეფასდება მრავალმხრივად: როგორც მონიტორინგისა და ანალიზის განყოფილების იურისტების, ისე ადვოკატთა უშუალო ხელმძღვანელის ბიუროს უფროსის მიერ, ადვოკატების მიერ საქმესთან დაკავშირებით განხორციელებული მოქმედებების, სასამართლო პროცესზე მიღწეული შედეგისა და ასევე დასაცავი პირის მხრიდან ადვოკატის მომსახურების შეფასების გათვალისწინებით. 2008 წლის ივლისი-სექტემბრის განმავლობაში შემუშავებული მოდელის პილოტირება რამდენიმე იურიდიული დახმარების ბიუროში განხორციელდა.

ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო

ფატმან არზიკიანი

იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის ფატმან არზიკიანის დახმარებით ყაჩაღობაში ბრალდებულ დავით შ.-ს სასჯელი შეუმსუბუქდა. ადოვოკატმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა და განსასჯელს საბოლოოდ 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

რუსთავის იურიდიული დახმარების ბიურო



ზაქრო გვიშიანი

იმერეთის- ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის -ზაქრო გვიშიანის დახმარებით არასრულწლოვან ბრალდებულებს რამინ ყ-სა და ლევან ზ-ს, რომლებსაც ქურდობაში ედებოდათ ბრალი და ოთხიდან შვიდ წლამდე პატიმრობა ემუქრებოდათ, სასჯელი შეუმსუბუქდათ. მათ 5-წლიანი პირობითი სასჯელი შეეფარდათ.

თანამშრომელთა შეფასების სისტემაზე მუშაობის დროს დღის წესრიგში დადგა იურიდიული მომსახურების ხარისხის სტანდარტებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ქცევის კოდექსის შემუშავების საკითხი. თანამშრომელთა ქცევის კოდექსი, როგორც იურიდიული დახმარების თანამშრომელთა საქმიანობის ერთ-ერთი საბაზისო დოკუმენტი, ორგანიზაციული კულტურის, იურიდიული დახმარების ბიუროებში ინტერპერსონალური კომუნიკაციისა და ადვოკატთა პროფესიული სტანდარტების, მათ შორის კლიენტებთან და პროცესის მწარმოებელ ორგანოებთან ურთიერთობების საკითხებს მოაწესრიგებს.

ქცევის კოდექსზე მუშაობა თანამშრომელთა გამოკითხვით დაიწყო. გამოკითხვა ანონიმურ ხასიათს ატარებდა და მიზნად პროფესიული კრიტერიუმებთან დაკავშირებით ადვოკატთა მოსაზრებების გამოვლენას ისახავდა. გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრა საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის ძირითადი პრინციპები, რომელთა საფუძველზეც ქცევის კოდექსის პირველადი ვარიანტი მომზადდება.

2009 წლიდან როგორც იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა შეფასების სისტემაზე, ისე საქმიანობის ხარისხის სტანდარტებსა და ქცევის კოდექსზე მუშაობა დონორთა დახმარებით გამოცდილ ექსპერტებთან ერთად გაგრძელდება

ინფორმაციული ტექნოლოგიების ფეხდაფეხ

საქმის მენეჯმენტის კომპიუტერული პროგრამა

ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოს" მხარდაჭერით იურიდიული დახმარების სამსახურმა დანერგა საქმის მენეჯმენტის კომპიუტერული პროგრამა, რომელმაც მნიშვნელოვნად გაამარტივა ადვოკატთა საქმიანობა და სტატისტიკური მონაცემების დამუშავების ახალი სისტემით სარგებლობის საშუალება მისცა. კომპიუტერული პროგრამის პროექტი კომპანიამ "Idea Design Group" განახორციელა.



პროგრამის ინტერფეისი



იურიდიული დახმარების სამსახურისათვის შექმნილი საქმისწარმოების კომპიუტერული პროგრამა სამი ძირითადი ამოცანის გადაჭრას ემსახურება. კერძოდ: ამარტივებს ადვოკატებისა და კონსულტანტების საქმიანობის ორგანიზებას; დაამუშავებს სტატისტიკურ მონაცემებს; ხელს უწყობს ხარისხისა და დროის მენეჯმენტის ეფექტიანობას. პროგრამა მოიცავს კალენდარს, რომელიც ადვოკატს საქმეებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ვადებისა და მოვლენების შესახებ შეახსენებს. გარდა ამისა, ადვოკატებს სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტის შაბლონით სარგებლობის საშუალება ეძლევათ.

პროგრამა მოსახერხებელია სტატისტიკური მონაცემების დამუშავების თვალსაზრისითაც. მისი მეშვეობით ბიუროსა და ადვოკატის მიერ გაწეული საქმიანობა შეიძლება სხვადასხვა კრიტერიუმების, მათ შორის, დანაშაულის კატეგორიის, დასაცავ პირთა ასაკის, სოციალური მდგომარეობისა, საქმის სტადიის, საქმეების რაოდენობისა და შედეგების, აგრეთვე მომართვის წყაროს მიხედვით დახარისხდეს.

პროგრამაში დაცულია საქმესთან დაკავშირებით შექმნილი ყველა დოკუმენტი. იგი ავტომატურად აღრიცხავს თითეული ადვოკატის მიერ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით დახარჯულ დროს.

მურმან ნიკოლეიშვილი

ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის მურმან ნიკოლეიშვილის დახმარებით ძარცვაში ბრალდებულ არასრულწლოვან თეიმურაზ გ-ს, რომელსაც 5-დან 8 წლამდე პატიმრობა ემუქრებოდა, სასჯელი შეუმსუბუქდა. მას ჯარიმის გარეშე პირობითი სასჯელი განესაზღვრა.

სამსახურის ოფისებს შორის ეფექტური კომუნიკაციის სისტემა შეიქმნა

იურიდიული დახმარების სამსახური დღეისათვის ცენტრალური აპარატის და მისი 15 რეგიონალური ოფისისაგან შედგება. შესაბამისად აპარატსა და ბიუროებს შორის მარტივ და დაუბრკოლებელ კომუნიკაციას სამსახურის ეფექტური ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

სამსახურისა და მისი ბიუროების საქართველოს ერთიან სამთავრობო ქსელში ჩართვის პროცესი 2008 წლის ბოლოს დასრულდა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედი VPN ტიპის კომპიუტერული ქსელმა ონლაინ რეჟიმში დააკავშირა ერთმანეთთან სამსახურის ოფისები, რამაც ელექტრონული მონაცემების მიმოცვლა საგრძნობლად გაამარტივა.

იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშომლები აღჭურვილი არიან ლიცენზირებული პროგრამებით, მათ შორის "კოდექსით", უზრუნველყოფილი უახლესი კომპიუტერებით/ლეპტოპებით.

საზოგადოებასთან ურთიერთობები

საქართველოში უფასო იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას საზოგადოების ნდობის მოპოვება და მისი საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება წარმოადგენდა. ამ მიზნით იურიდიული დახმარების სამსახურმა 2008 წლის განმავლობაში არაერთი საინტერესო ღონისძიება განახორციელა.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის ათობით წარმატებული საქმე, რომელიც საზოგადოებრივი ადვოკატების ძალისხმევით ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა და განსასჯელთა ნაწილობრივ გამართლების ან მათთვის სასჯელის შემსუბუქების შესახებ მოგვითხრობს. ჩვენს ადვოკატებს ყოველდღიურად უწევთ მაღალი პროფესიონალიზმის დამტკიცება, რასაც ხშირ შემთხვევაში წარმატებით ართმევენ თავს. სწორედ ეს უდევს საფუძვლად იურიდიული დახმარების სამსახურისადმი საზოგადოების ნდობის განმტკიცება.

ჩვენი გვერდია www.legalaid.ge

fond “Ria sazogadoeba - saqarTvelos” grantis farglebSi 2008 wels iuridiuli daxmarebis samsaxuris vebgverdis www.legalaid.ge-s proeqtze muSaoba daiywo. vebgverdze ganTavsdeba informacia iuridiuli daxmarebis samsaxuris proeqtebis, siaxleebis, biuroebisa da sakonultacio centrebis, ufaso samarTlebrivi daxmarebis miRebis SesaZleblobebis Sesaxeb. saitis stumrebisaTvis xelmisawvdomi iqneba aqtualur samarTlebriv Temebze Sedgenili bukletebis eleqtronuli versia. vebgverdis meSveobiT moqalaqeebs SeeZlebaT isargeblon onlain konsultaciis servisiTac.

გიორგი მდინარაძე

ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატების გიორგი მდინარაძისა და მურმან ნიკოლეიშვილის ძალისხმევით ქურდობაში ბრალდებულ ომარ ღ-სა და ნუგზარ ჯ-ს პირობითი სასჯელი შეეფარდათ და ისინი სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდნენ.



ბაკურ ბოლქვაძე

აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის ბაკურ ბოლქვაძის ძალისხმევით ქუდობისა და ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის ძებნილი გურამ ბ. ნაწილობრივ გამართლდა და მას 6 წლის ნაცვლად 1 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

მედია და ჩვენ

იურიდიული დახმარების სამსახურმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო რეგიონულ მედიასთან თანამშრომლობის საკითხს. იუსტიციის სასწავლო ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის საკითხზე 2008 წლის 7-8 ივნისს დაბა ბაკურიანში იურიდიული დახმარების სამსახურისა და რეგიონული მედიის წარმომადგენელთა მონაწილეობით სემინარი გაიმართა. სემინარს ესწრებოდნენ იურიდიული დახმარების ბიუროების უფროსები და ჟურნალისტები კახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, იმერეთის, სამეგრელოსა და აჭარის რეგიონებიდან. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს ერთობლივი მედიაპროექტების განხორციელების შესაძლებლობები. სემინარის უმთავრეს შედეგს კი იურიდიული დახმარების ბიუროების საქმიანობისადმი ჟურნალისტების ინტერესის ზრდა წარმოადგენს, რაც სხვადასხვა ტელე- და რადიოსიუჟეტებში, სტატიასა თუ ინტერვიუში აისახა.

2009 წელს იურიდიული დახმარების სამსახური რეგიონულ მედიასთან თანამშრომლობის გაღრმავებას გეგმავს.

იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ ფილმი მომზადდა

fond Ria sazogadoeba – saqarTvelos daxmarebiT iuridiuli daxmarebis samsaxuris Sesaxeb filmi momzadda.

filmi mayurebels mouTxrobs sazogadoebrivi advokatebisa da konsultantebis saqmianobis Sesaxeb. aseve iuridiuli daxmarebis samsaxurSi ganxorcielebuli reformebis da samomavlo gegmebis Sesaxeb.

filmis siuJeti agebulia im moqalaqeebis istoriebze, romlebmac iuridiuli daxmarebis samsaxuris advokatebisa da konsultantebis momsaxurebiT isargebles. garda amisa, samsaxuris Seqmnis, mimdinare da momavali proeqtebis Sesaxeb saubroben iusticiis ministris moadgile – maia kopaleiSvili, uzenaesi sasamarTlos Tavmjdomaris moadgile – zaza meiSvili, fond Ria sazogadoeba – saqarTvelos programis menejeri Tamar qaldani, axalgazrda iuristTa asociaciis Tavmjdomaris moadgile – giorgi CxeiZe.



იმედა ბეროშვილი

თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის იმედა ბეროშვილის დახმარებით განსასჯელ არტურ ა.-ს, რომელსაც დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა - შენახვისათვის 6-დან 12 წლამდე პატიმრობა ემუქრებოდა, სასჯელი შეუმსუბუქდა და საბოლოოდ 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

გიორგი ჩხეიძე
ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

დღეს, ამდენი წლის შემდეგ, იურიდიული დახმარების სამსახური აღიქმება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი ახალი ხელისუფლებისა. ეს მართლაც ასეა.

ამ სტრუქტურაში მუშაობენ ახალგაზრდები, იურისტები, რომლებსაც აქვთ სურვილი და შესაძლებლობა, ანუ კვალიფიკაცია, რომ ეფექტური დახმარება გაუწიონ მოქალაქეებს.

ჩვენი ბუკლეტები

იურიდიული დახმარების ბიუროებმა საზოგადოებას საქმიანობის შედეგები გააცნეს

იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის რეგიონულმა ბიუროებმა ერთწლიანი მუშაობის შედეგები შეაჯამეს. პრეზენტაციებს ადგილობრივი ხელისუფლების, პროკურატურის, სასამართლოს, არასამთავრობო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. იურიდიული დახმარების ბიუროების ღონისძიებები აქტიურად გააშუქა ადგილობრივმა მედიამ.

მობილური იურიდიული დახმარება

პროექტის "მობილური იურიდიული დახმარება" ფარგლებშიც იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გასვლითი კონსულტაციები გამართეს. შეხვედრების დროს საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები მოქალაქეებს საინტერესო სამართლებრივი თემების შესახებ ესაუბრებოდნენ და სამსახურის საინფორმაციო ბუკლეტებს ურიგებდნენ.

აღნიშნული პროექტი 2009 წელსაც გაგრძელდება. ამ მიზნით ფონდ "ღია საზოგადოება — საქართველოს"(OSGF) ფინანსური მხარდაჭერით უკვე დაიბეჭდა იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მომზადებული ბუკლეტები, რომლებიც შემდეგ საკითხებს ეხება: იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები, მემკვიდრეობა, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის წესი, უძრავი ქონების შეძენა და გასხვისება, პენსიის დანიშვნა, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება.

ფინანსური ანგარიში

დაფინანსება



იურიდიული დახმარებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები წლების მიხედვით:

2005 წ - 30 ათასი ლარი
2006 წ -120 ათასი ლარი
2007 წ - 1 500 ათასი ლარი
2008 წ - 2 871 ათასი ლარი

ხარჯები



პარტნიორები

- იუსტიციის სამინისტროს სსიპ
  იუსტიციის სასწავლო ცენტრი (GTZ, IRZ)
- ნორვეგიის კანონის უზენაესობის
  მრჩეველთა მისია (NORLAG)
- ამერიკის იურისტთა ასოციაცია
- ფონდი ღია
  საზოგადოება - საქართველო
- ღია საზოგადოება
  სამართებლივი ინიციატივა (OSJI)
- საქართველოს ახალგაზრდა
  იურისტთა ასოციაცია
- გაეროს განვითარების პროგრამა
  (UNDP)
- ამსტერდამის იურიდიული
  დახმარების საბჭო